

# გადასახადების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე

სტუდენტი: ლიკა მღებრიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის  
სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი დანელია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიკა მღებრიშვილი

3 ივლისი 2021 წელი.

## აბსტრაქტი

ნებისმიერი ქვეყნის ამოცანაა შექმნას ისეთი საგადასახადო სისტემა, რომელიც მარტივად ადაპტირდება ეკონომიკურ ცვლილებებზე და შეძლებს ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური პრობლემების დაძლევას. საგადასახადო განაკვეთის დონე, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად უნდა განისაზღვრებოდეს, ამიტომ, კრიზისის დროს საჭიროა საგადასახადო განაკვეთების შემცირება, ხოლო წარმოების ზრდის პირობებში საგადასახადო განაკვეთების ზრდა. შედეგად, წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმის გაგება, თუ როგორ მოქმედებს გადასახადები საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ვთვლი, რომ გადასახადებს მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ეკონომიკის ფორმირების პროცესში და შესაბამისად მნიშვნელოვნად არის მასზე დამოკიდებული ეკონომიკის განვითარება.

ნაშრომში საუბარია საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და განვითარების ეტაპებზე, აგრეთვე დღეს მოქმედი გადასახადების კლასიფიკაციასა და სტრუქტურაზე. გარდა ამისა, ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნის გადასახადების გავლენების შესწავლას ეკონომიკის განვითარებაზე და ამავდროულად თითოეული გადასახადის მნიშვნელობაზე ეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით. ამ მიზნით, ნაშრომში ჩაშლილია მოგების, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადები დეტალურად, რისთვისაც განხილულია მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის დინამიკა წლების განმავლობაში და დღგ-ს ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად გადაწერა.

ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია საქართველოში მოქმედი გადასახადების შესახებ სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა და სადისერტაციო ნაშრომები. გარდა ამისა, კვლევის შედეგების მეტი ობიექტურობისათვის, ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა.

ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამ და სხვადასხვა ნაშრომების ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში დღეს მოქმედი გადასახადების განაკვეთები არ არის სამართლიანი და საჭიროა ამ მხრივ დამატებითი ლიბერალიზება სახელმწიფოს

მხრიდან, რათა გაუმჯობესდეს სოციალური მდგომარეობა და ბიზნეს სუბიექტებს მიეცეთ მოტივაცია წარმოების გაფართოებისათვის. გარდა ამისა, ესტონური მოდელის შემოღებით გაუმჯობესდა ადგილობრივი წარმოება და მოხდა უხოური ინვესტიციების მოზიდვა. რაც შეეხება დღგ-ს ნაწილს, აღსანიშნავია, რომ რეფორმა ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას და ევროპის ქვეყნების პრაქტიკის გაზიარებით საქართველო მყარ ნაბიჯებს დგამს ეკონომიკური წინსვლისაკენ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობის მიზნით, მოგების გადასახადის რეფორმის ანალოგიური, საგადასახადო სფეროს ლიბერალიზებაზე ორიენტირებული, სხვა სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღება.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** გადასახადები, საგადასახადო კოდექსი, საქართველოს ეკონომიკა, საგადასახადო პოლიტიკა.

## **Abstract**

The task of any country is to create a tax system that is easily adapted to economic change and will be able to solve both economic and social problems of the country. The level of the tax rate should be determined according to the economic situation of the country, therefore, in times of crisis, it is necessary to reduce the tax rates and increase the tax rates in the conditions of increasing production. As a result, the aim of this paper is to understand how taxes affect Georgia's economic development. I believe that taxes have an important role in the formation of the Georgian economy and therefore the development of the economy depends on it.

The paper discusses the stages of formation and development of the tax system of Georgia, as well as the classification and structure of taxes in force today. In addition, a significant part of the paper is devoted to the study of the impact of taxes on the development of the economy and at the same time the importance of each tax in terms of economic stability. To this end, the paper breaks down profit, income and value-added taxes in detail, discussing the Estonian model of profit tax, the dynamics of the income tax rate over the years, and transcribing VAT in accordance with EU law.

The theoretical-methodological basis of the paper is various scientific literature and dissertation papers on taxes in Georgia. In addition, for more objectivity of the survey results, a quantitative survey has been conducted.

My research and analysis of various papers have shown that the current tax rates in Georgia are not fair and additional liberalization by the state is needed to improve the social situation and motivate business entities to expand production. In addition, the introduction of the Estonian model improved local production and attracted a lot of investment. As for the VAT part, it should be noted that the reform contributes to the deepening of international relations and by sharing the practice of European countries, Georgia is taking solid steps towards economic progress. In view of all the above, it is clear that it is important to make similar government decisions aimed at tax liberalization, similar to tax liberalization, in order to promote entrepreneurial entities.

**Key words:** Taxes, Tax Code, Georgian Economy, Tax Policy.

## მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აცორირებულ პროფესორს, ბატონ გიორგი დანელიას. ასევე, ჩემს მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობისათვის, მადლობას ვუხდი თითოეულ მონაწილეს, მათ შორის „სსიპ-შემოსავლების სამსახურის“ თანამშრომლებსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს.